ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #32

დ.სტეფანწმინდა **10 მაისი 2022 წ.**

ერთის მხრივ, **ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში "დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი მერის **ბაკური ავსაჯანიშვილის** სახით, **(შემდგომში „შემსყიდველი") და** მეორეს მხრივ, **შპს „იუ-ჯი-თი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ერმილე სულაძის** სახით, შემდგომში ერთად წოდებული „მხარეები" და ცალ–ცალკე – „მხარე", ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის დანართი #1-ით გათვალისწინებული აპარატურის (შემდგომში: საქონელი) მიწოდება და საკუთრებაში გადაცემა;

1.2. საქონლის აღწერა მოცემულია დანართი #1–ში, რომელიც შედგება 1 (ერთი) ფურცლისგან. დანართი #1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ხელმოწერილია საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, რომელთა ხელმოწერებიც განმტკიცებულია ორგანიზაციის ბეჭდით;

1.3. დანართში მითითებულია: საქონლის დასახელება და კომპლექტაცია, მოდელი, რაოდენობა, ღირებულება, მხარეთა რეკვიზიტები და სხვა აუცილებელი მონაცემები;
CPV:30125100

II. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს დანართში მითითებული საქონლის მიწოდება და საკუთრებაში გადაცემა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის თანახმად;

2.2. მიმწოდებელი ვალდებულია, მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

2.3. შემსყიდველი ვალდებულია, მიიღოს და აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის თანახმად;

III. სახელშეკრულებო ღირებულება, ანგარიშსწორება

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება (შემდგომში "სახელშეკრულებო ღირებულება") შეადგენს 1,290 (ათას ორას ოთხმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ანგარიშსწორების პირობაა უნაღდო ანგარიშსწორება;
3.2.1. სახელშეკრულებო ღირებულების ღირებულების (100%) გადახდა ხორციელდება საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში;

IV. საქონლის მიწოდების ვადები

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა;

4.2. საქონლის მიწოდებიდან 3 (სამი) დღის ვადაში მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. საქონლის გადაცემიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე საქონლის უსაფრთხოდ შენახვაზე პასუხისმგებელია შემსყიდველი. საკუთრების უფლება და საქონლის დაღუპვისა თუ დაკარგვის რისკი გადადის მიმწოდებლიდან შემსყიდველზე, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი 3 (სამი) დღის განმავლობაში არ გააფორმებს მიღება-ჩაბარების აქტს ან/და არ წარმადგენს დასაბუთებულ უარს, საქონელი ჩაითვლება მიღებულად და დაექვემდებარება სავალდებულო ანაზღურებას.

4.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი ბაკური ავსაჯანიშვილი. მიღება-ჩაბარების აქტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს დამკვეთის მიერ შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე ფაქტურის დადასტურებას;

4.4. დანართში #1 მითითებული საქონლის მიწოდება ხორციელდება შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ 17ა;

V. ხელშეკრულების დარღვევა, რეკლამაცია, უთანხმოების გადაჭრა

5.1. მიწოდების/ანგარიშსწორების ვადის დარღვევისათვის მხარე უფლებამოსილია დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%–ის ოდენობით;

5.2. პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მხარის მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში, თუ მხარეები სხვა პირობაზე არ შეთანხმდებიან. პირგასამტეხლოს დაკისრება წარმოადგენს მხარის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევ მხარეს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

5.3. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი უარს იტყვის საქონლის შესყიდვაზე (აღნიშნული უარი არ არის გამოწვეული კომპანიის მიზეზით) მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%–ის ოდენობით და საქონელი დარჩება კომპანიას. ავანსის გადახდის შემთხვევაში დამკვეთს უკან დაუბრუნდება გადახდილი ავანსი აღნიშნული პირგასამტეხლოს გამოკლებით;

5.4. თუ კომპანიის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შემსყიდველის მიზეზით, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს არ დაეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო;

5.5. თუ შემსყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, ამ შემთხვევაში შემსყიდველს არ დაეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

VI. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კომპანიასა და/ან დამკვეთის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა;

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

VII. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ვალდებულებათა სრულად ამოწურვამდე;

7.2. ამ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე ურთიერშეთანხმებით ან ცალმხრივად იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების არსებობისას;

VIII. დავათა გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები ეცდებიან მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა უთანხმოება და დავა;

8.2. ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“საარბიტრაჟო განხილვის ადგილია ქ. თბილისი (DRC-ს, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348; იურიდიული მისამართი ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი,2 სართული, ოფისი 11. ვებ.გვერდი: WWW.DRC.GE)

8.3. მხარეებს უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს სცადონ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშვირებით წარმოშობილი დავის მედიაციის მეთოდით გადაწყვეტა DRC-ის რეგლამენტის შესაბამისად.

IX. სხვა პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით, წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

9.2. ხელშეკრულების რომელიმე კონკრეტული მუხლის/პუნქტის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების ბათილობას;

9.3. მხარეებს არ აქვთ უფლება, წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლება-მოვალეობები გადასცენ მესამე პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის მეშვეობით;

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია	**შპს „იუ-ჯი-თი“**
დ.სტეფანწმინდა აღმაშენებლის N36	**თბილისი ი.ჭავჭავაძის #17ა 0179**
ს/კ:241499473	**ს/კ: 204 892 964**
ტელ:577072008	**ტელ: 22 05 05**
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
სახელმწიფო ხაზინა	**სს „თიბისი ბანკი“**
	ბანკის კოდი: TBCBGE22
	ა/ა: GE05TB0600000005467291
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი:	**გენერალური დირექტორი**
ბაკური ავსაჯანიშვილი	**ერმილე სულაძე**

UGT LLC Digitally signed by UGT LLC Date: 2022.05.10 15:42:04 +04'00'

_____ _____

ხელშეკრულება №32
10 მაისი 2022 წელი

დანართი #1

აღწერილობა	რაოდენობა	ფასი GEL	სულ GEL
(CF540A) HP 203A Black Original LaserJet Toner Cartridge	1	285	285
CF541A HP 203A Cyan Original LaserJet Toner Cartridge	1	335	335
CF542A HP 203A Yellow Original LaserJet Toner Cartridge	1	335	335
CF543A HP 203A Magenta Original LaserJet Toner Cartridge	1	335	335

სულ: 1,290 ლარი

შემსყიდველი:

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია
დ.სტეფანწმინდა აღმაშენებლის N36
ს/კ:241499473
ტელ: 577072008
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი:
ბაკური ავსაჯანიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი“
თბილისი ი.ჭავჭავაძის #17ა 0179
ს/კ: 204 892 964
ტელ: 22 05 05
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE05TB0600000005467291

გენერალური დირექტორი
ერმილე სულაძე